

THE BASES AND PRINCIPLES OF ORGANIZING THE ADDITIONAL EDUCATIONAL
SERVICES
(LEARNING CIRCLES)

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების (წრეების)
ორგანიზების საფუძვლები და პრინციპები უცხოური ენის სწავლებისას

Mzia Topuridze

Assistant Professor of Sokhumi State University,
61 Politkovskaya street, 0186, Tbilisi, Georgia,
+995 579 115 024, mziatopuridze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0005-0244-5518>

Abstract. The bases and principles for the formation and functioning of foreign language learning circles at school are analysed in the given article.

For the active participation of learners in the FL circles it is crucial that their interests and level of language mastery should be taken into consideration. The suggested forms of teaching and materials must be authentic, accessible and multifarious. Out-of-class activities should be less formal and instructional, learners must be provided with the motivating, pleasant and real-life activities, the teacher, as a facilitator of the process has to ensure that teaching/ learning doesn't become mundane, as learning a foreign language can be an interesting adventure for learners that can lay effective foundation for them to acquire normal linguistic skills and at the same time to get familiar with the culture and traditions of the target language.

Modern methodology of foreign language teaching is oriented towards the creation of democratic and student-oriented atmosphere and the process of organising and conducting out-of-class (circles) teaching and relative activities should meet all these requirements.

Keywords: Pedagogical, Educational, Circles, Foreign language, Student, Teacher.

მზია თოფურიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასისტენტ-პროფესორი,

თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას #61, 0186, საქართველო,

+995 579 115 024, mziatopuridze@gmail.com

<https://orcid.org/0009-0005-0244-5518>

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია სკოლაში უცხოური ენის წრეების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საფუძვლები და პრინციპები.

წრეში მოსწავლეთა გაერთიანებისა და აქტიური, მოტივირებული ჩართულობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი ინტერესებისა და ენის ფლობის დონე. ამასთან, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: შესასწავლი თემატიკის, ასევე, მასალის ზოგადსაგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, პრაქტიკული ღირებულება, მისი ინტელექტუალური და ემოციური მხარე. შეთავაზებული სამუშაოს ფორმები და სასწავლო მასალა უნდა ხასიათდებოდეს ავთენტურობით, მისაწვდომობითა და მრავალფეროვნებით.

უცხოენობრივ წრეში მუშაობა უნდა იყოს ნაკლებად ფორმალიზებული, თუმცა ის უნდა ატარებდეს სისტემურ ხასიათს. გაკვეთილისაგან განსხვავებით, ენობრივი წრის წევრები სავარჯიშოებს კი არ უნდა ასრულებდნენ, არამედ რეალურ ენობრივ კომუნიკაციაში უნდა იყვნენ ჩართულნი. თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერების დემოკრატიზაციის შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლების გათვალისწინებით, კლასგარეშე მუშაობა მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს თანამშრომლობას, ერთის მხრივ, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, მეორე მხრივ კი - თვით მოსწავლეებს შორის.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიური, საგანმანათლებლო, წრეები, უცხოური ენა, მოსწავლე, მასწავლებელი.

შესავალი. თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერების დემოკრატიზაცია, შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების (წრეების) ორგანიზების დაგეგმვის პროცესში, მისი ნაკლებად ფორმალური და მეტად შემოქმედებითი ხასიათის გამო. მოსწავლეებს უნდა მიეცეს საშუალება შეარჩიონ წრეობრივი მუშაობისა და მასობრივი ღონისძიებების თემატიკა, თავად განსაზღვრონ მუშაობის ფორმები, წაიყვანონ წრეების სხდომები, ახსნან კიდევაც სასწავლო მასალა.

მასწავლებლის როლი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების პროცესში უკავშირდება სასწავლო პროგრამასთან კავშირის უზრუნველყოფას, მოსწავლეთა და ადმინისტრაციის აქტივობების კოორდინირებას, ენობრივი კონსულტაციების გაწევას, მოსწავლეთა მოტივირებასა და მათ აქტივიზაციას.

კლასგარეშე მუშაობა უცხოურ ენაში ნებაყოფლობითია და უშუალოდ არ განისაზღვრება პროგრამით. ამავ დროს, თუ სკოლის ადმინისტრაცია და უცხოური ენის

მასწავლებელი არ გაუწევინებს მას ხელმძღვანელობას და თუ მას გეგმიური ხასიათი არ ექნება, იგი დაბალეფექტური იქნება.

სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს შესაძლო წრეების სპეციალიზაციას და ისმენს მათ შეთავაზებებსაც. გასაგებია, რომ ერთ სკოლაში მაქსიმუმ 1-2 წრე თუ ჩამოყალიბდება ენის კლასგარეშე შესასწავლად. ამიტომ, მოსწავლეთა და, შესაძლოა, მათი მშობლების სურვილი გადამწყვეტი უნდა იყოს წრეების პროფილის განსაზღვრაში (განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ წრის წევრობა ფასიანია). არ არის აუცილებელი, ყოველ წელს სკოლაში ერთი და იგივე წრეები მუშაობდნენ. წრის მუშაობის გაგრძელება დამოკიდებულია მის წარმატებაზე და მოსწავლეთა (და მათი მშობლებთა) სურვილზე.

ნაშრომის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

1. უცხოური ენის სწავლების პროცესში დამატებითი საგანმანათლებლო და საადრეული მომსახურების (წრეების) ორგანიზებასთან დაკავშირებული თანამედროვე და აქტუალური მიდგომებისა და აქტივობების კრიტიკული ანალიზი;

2. უცხოური ენის წრის თანამედროვე მეცადინეობათა ამოცანების, შინაარსის, ფორმისა და სტრუქტურის შესწავლა;

3. მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა უცხოური ენის წრეებში მეცადინეობისას.

მეთოდები. მოცემული ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: რელევანტური პედაგოგიური და მეთოდური მასალის კრიტიკული ანალიზი, აღწერითი მეთოდი, აბსტრაგირებისა და კონკრეტიზაციის მეთოდი.

შედეგები და მსჯელობა. წრის მეცადინეობა არ არის რეგლამენტირებული სასკოლო პროგრამით (თუმცა, მისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით, მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან), ამდენად, იგი შემოქმედების დიდ საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეებს. ისინი თანამშრომლობენ მასალების, თემატიკის და დავალებების შერჩევაში (გიორგობიანი და სხვა, 2004).

უცხოური ენის წრის მეცადინეობა თავისი ამოცანებით, შინაარსით, ფორმითა და სტრუქტურით ახლოა ამ საგნის გაკვეთილთან, მაგრამ მის დუბლირებას არ წარმოადგენს. არა აქვს ადგილი შესწავლილი მასალის გამოკითხვას, ცოდნის შეფასებას ნიშნების საშუალებით. რადგან წრის მეცადინეობა გაკვეთილების შემდეგ ტარდება, მისი ფორმა სასიამოვნო და ნაკლებად დამღლელი უნდა იყოს, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობანი კი - ნაკლებად ოფიციალურია. მოძრავი თამაშები და საკლასო ოთახში გადაადგილება წყვილურ და ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებით არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა. ასეთი გადაადგილება რელაქსაციის საშუალებასაც იძლევა.

წრეში გაერთიანების საფუძველია არა იმდენად ასაკი, რამდენადაც მოსწავლეთა ინტერესები და ენის ფლობის დონე. სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა თანამშრომლობა წრის (კლუბის) აქტივობაში, სასკოლო მასშტაბის ღონისძიებების ორგანიზებაში სასარგებლოა მოსწავლეთა სოციალიზაციისათვის. მოსწავლეები მეტ მეგობარს იძენენ სკოლაში. მათ უწევთ ერთმანეთთან „გუნდში“ მუშაობა ერთობლივი ამოცანების შესასრულებლად.

წრის მეცადინეობის (კლუბის შეხვედრის) მომზადებისას მასწავლებელი ითვალისწინებს შემდეგს:

1. შესასწავლი თემატიკისა და მასალის ზოგადსაგანმანათლებლო, აღმზრდელობით, განმავითარებელ და პრაქტიკულ ღირებულებას, მის ინტელექტუალურ და ემოციურ მხარეს, მოტივირებას;

2. მუშაობის ფორმებისა და სასწავლო მასალის ავთენტიკურობას, მისაწვდომობას, მრავალფეროვნებას;

3. შემოქმედების შესაძლებლობას;

4. დიალოგიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, როგორც მასწავლებლსა და მოსწავლეებს, ისე თვით მოსწავლეებს შორის;

5. მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს (ასაკთან ერთად კლებულობს გართობის ელემენტის აუცილებლობა და მატულობს მუშაობის შემეცნებითი ღირებულება). აუცილებელია არა მხოლოდ დავეყრდნოთ ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, არამედ, ყველა ზომა მივიღოთ, რათა გავაღვივოთ იგი.

მასობრივი ღონისძიებების მომზადებისას, ასაკის მიუხედავად, გართობის მომენტს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შემეცნებითს, რადგან სხვადასხვა კლასების მოსწავლეთა ენობრივი უნარ-ჩვევების დონე და ინტერესები საგრძნობლად განსხვავდება (დოლონაძე, 1984).

წრის მეცადინეობის ორგანიზაციაში აუცილებელია ასაკის შესაბამისი სტიმულების გათვალისწინება, რომლებიც დააინტერესებენ მოსწავლეებს, რათა რეგულარულად დაესწრონ მის სხდომებს. ეს მოტივებია, მაგალითად, V და VI კლასში - საგნის სიახლე, მასალების მრავალფეროვნება, მუშაობის ფორმების მიმზიდველობა, VII-IX კლასებში - უახლესი ინფორმაცია (აშბები), ქვეყანათმცოდნეობითი და დარგობრივი ინფორმაცია. სხდომისას შეიძლება როლების გათამაშება, როცა საკლასო ოთახი „ოფისად“, „თვითმფრინავად“, „კაფედ“ და რომელიმე სხვა ადგილად „გადაიქცევა“.

წრის მეცადინეობის ფორმა ყოველთვის თუ არა, ხშირად უნდა განსხვავდებოდეს გაკვეთილისაგან. მაგალითად, სპორტის თემას მიძღვნილი სხდომა, სათანადო ლექსიკის გაეორებისა და ახსნის შემდეგ, შეიძლება ჩატარდეს სპორტულ დარბაზში, ბუნების თემას მიძღვნილი სხდომა კი - სკოლის ეზოში ან ახლომდებარე პარკში.

ისეთი ღონისძიებები, როგორცაა კონცერტები, კონფერენციები, ოლიმპიადები, კონკურსები და ა.შ. ფინანსირებას აუცილებლად არ მოითხოვს, ამდენად, მშობელთა ჩარევა მათი გეგმის შედგენაში საჭირო არ არის. სამაგიეროდ, მოსწავლეთა ინიციატივა და სურვილები აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ ღონისძიებების დაგეგმვისას. სკოლის ადმინისტრაციასთან და სხვა მასწავლებლებთან კოორდინირება კლასგარეშე მუშაობის დაგეგმვისას აუცილებელია, რადგან მას ჩატარების ადგილი უნდა გამოეყოს, გარდა ამისა, კლასგარეშე მუშაობა ყველა საგნებში კოორდინირებული უნდა იყოს და პერიოდულად საგანთაშორისო ღონისძიებანიც უნდა ჩატარდეს (მაგალითად, ვიქტორინა ინგლისის ისტორიის თაობაზე). მიუხედავად იმისა, რომ შთამბეჭდავი ღონისძიებები მასწავლებლისა და სკოლის პრესტიჟისთვის კარგია, სკოლის კლასგარეშე მუშაობა არ უნდა გადაიტვირთოს და ხელი შეუშალოს მოსწავლეთა მთავარ - სასწავლო საქმიანობას (მარკაშვილი, 1988).

საინტერესო ღონისძიებების ჩატარება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეთა ინტერესების სტიმულირებას საგნისადმი და მის უკეთეს შესწავლას;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა-განვითარებას და სასწავლო საქმიანობის აქტივიზაციას;
- დამოუკიდებელი მუშაობის, კერძოდ, დამატებითი ლიტერატურის გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირებას.

მნიშვნელოვანია ისეთი კომპლექსური ღონისძიებების ორგანიზება, როგორცაა ენის ოლიმპიადები. აქ ვლინდება მოსწავლეთა ცოდნა შესასწავლი ენის გრამატიკისა და ლექსიკის, მათი უნარი ისაუბრონ, წერონ, მოისმინონ, წაიკითხონ და თარგმნონ. ოლიმპიადის დავალებების ნაწილი შეიძლება იყოს მოსწავლეთა ცოდნის შესამოწმებელი დავალებები შესასწავლი ენის ქვეყნების კულტურის შესახებაც. ოლიმპადები ტარდება სასკოლო, რაიონის, ქალაქის, რეგიონალური და მთელი ქვეყნის მასშტაბით. ოლიმპიადის

მოგებულები ღებულობენ საჩუქრებს და სტიპენდიებს, ამიტომ სკოლაში მაღალ მასშტაბში ჩატარებისას ოლიმპიადები აუცილებლად ფინანსირებას მოითხოვს. სკოლის ყველა მოსწავლე (კლასების მიხედვით) ღებულობს მონაწილეობას ოლიმპიადაში, რათა, ერთი მხრივ, შემოწმდეს სკოლაში მოცემული საგნის სწავლების დონე, მეორე მხრივ კი, შეირჩეს ოლიმპიადის შემდეგი საფეხურის მონაწილეები. რადგან, ოლიმპიადის ერთ-ერთი ამოცანაა შემოწმდეს საგნის სწავლების მდგომარეობა, მისი საკითხები შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამასთან. ეს, თუმცა, არ გამორიცხავს გარკვეულ შემოქმედებით დავალებებსაც. უცხოურ ენაში ოლიმპიადის ამოცანაა გამოავლინოს მოსწავლეთა კითხვის ტექნიკა (ტემპი, წარმოთქმის კორექტულობა) და კითხვისას ტექსტის შინაარსის გაგება, აუდირების უნარ-ჩვევები (მოსმენილის გაგება), ლექსიკურ-გრამატიკული უნარ-ჩვევების დონე (ტექსტები გამოტოვებული ადგილის შევსებაზე), საუბრისა (კითხვებზე პასუხი, სიტუაციური დიალოგის აგება, ტექსტის შინაარსის რეპროდუქცია, მონოლოგიური გამოსვლა თემაზე) და წერის (პიარდი წერილი ან მოცემულ საკითხზე) უნარ-ჩვევები (მეგრელაძე, 1993).

კიდევ ერთ კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს მხიარულთა და საზრიანთა კლუბის შეხვედრები. სხვა ერის იუმორის გაგება ზოგჯერ იოლი საქმე არ არის. ამავე დროს იუმორი ერის კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელია. იგი ცხოვრების ყაიდისა და ენის ცოდნას (სიტყვათა თამაშს) ეყრდნობა. მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, რომ იუმორისტული ტექსტის თარგმნა ძალიან რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც კი. თუ მოსწავლემ იცის სხვადასხვა თემაზე ხუმრობები, სასაცილო შემთხვევები, ეს მას კარგ მოსაუბრედ აქცევს. სხვა ერის იუმორის თავისებურება უმეტეს შემთხვევაში ძალიან აინტერესებთ მოსწავლეებს. ორი-სამი (ერთი თემით გაერთიანებული) ანეგდოტის ირგვლივ შეიძლება აიგოს ენობრივი წრის მთელი მეცადინეობა.

მაგალითად, ოჯახის თემაზე მუშაობისას შეიძლება შემდეგი ინგლისური ხუმრობა გამოვიყენოთ:

- What would your wife say if you bought a new car?

- she would certainly say: "look out for the traffic light! Be careful now! Don't hit that truck!

Why don't you watch where you are going? And a lot more things like that.

ასეთი ხუმრობა არა მხოლოდ მოგცემს საშუალებას ვილაპარაკოთ ცოლ-ქმრის ურთიერთობებზე, არამედ, ვიმუშაოთ გრამატიკულ მასალაზე (if clauses) და განვამტკიცოთ ლექსიკა ტრანსპორტის თემაზე.

მხიარულთა და საზრიანთა კლუბი საშუალებაა, მოსწავლეებმა უცხოური ენისა და მისი მატარებელი ხალხის კულტურა უკეთ გაიცნონ. საოცარი ფაქტების, ხუმრობებისა და იუმორისტული მოთხრობების მოპოვება, მათი ინსცენირება - ყველაფერი ეს თვით მოსწავლეთა ამოცანაა. გუნდები შეიძლება შეეჯიბრონ ერთმანეთს რომელიმე სიტყვის, შესიტყვების, ცნობილი გამონათქვამის, კინოს, წიგნისა ან სიმღერის სახელწოდების პანტომიმურ შესრულებაში და მათ გამოცნობაში. მასწავლებელი კონსულტანტის როლში გამოდის. ჟიურიში, როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლეებიც არიან. წარმატების შეფასებისას უცხოურ ენას გარკვეული როლი აქვს, მაგრამ მთავარია შემოქმედებითი მომენტი - მოპოვებული მასალის შინაარსი, სამსახიობო ნიჭი, მხატვრული გაფორმება.

მხიარულთა და საზრიანთა კლუბის სხდომის ჩასატარებლად კარგი თარიღია პირველი აპრილი - April Fool is day. მის ერთ-ერთ დავალებად შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად, ქვეყანათმცოდნეობითი ვიქტორინა (Defelice, W 1996):

Are you an April Fool?

Read these sentences, four are true and two are April Fool's jokes. Which ones are true and which ones are April Fool's jokes?

1. The Queen of England has two birthdays.
2. Next year Prince William's face will be on one of the bank notes.

3. David Beckham pays 488 for a haircut.
4. In London, they are building a new Big Ben clock with a digital watch face.
5. In Scotland, the national food is sheep's stomach.
6. In England, you can buy chocolate chips.

(Sentences 2 and 4 are April Fool's jokes)

რომელიმე ცნობილი ინგლისელი ან ამერიკელი მოღვაწის იუბილეს მიძღვნილ საღამოში შეიძლება რამდენიმე წრის მუშაობის შედეგები გაერთიანდეს, მათ შორის: კითხვის, ისტორიის, ხელოვნების და ა.შ.

მაგომედოვი (Магомедов Г.М. 2000) სამართლიანად მიუთითებს, რომ მაღალი პროფესიული დონისა და ისეთი პირადული თვისებების, როგორცაა ლიდერობა, ორგანიზატორული ნიჭი, დიდი ერუდიცია და ა.შ. გარდა, კლასგარეშე მუშაობის წარმატებული ორგანიზების მიზნით სასურველია მასწავლებლებმა სათანადო თეორიული (პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური) ცოდნა შეიძინონ და პრაქტიკული ტრენინგებიც გაიარონ, რადგან კლასგარეშე მუშაობის ორგანიზება რთულ, კომპლექსურ საქმიანობას წარმოადგენს.

მასწავლებელმა უნდა შეძლოს შეისწავლოს მოსწავლეების ინტერესები, აღმოაჩინოს მათში ის უნარი, რომელიც შესაძლოა მათ თვითონაც არ შეუმჩნევიათ და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას. მასწავლებლის მიერ კლასგარეშე მუშაობის ორგანიზება სულაც არ ნიშნავს, რომ კლასგარეშე მუშაობის მთელი ტვირთი მის მხრებზე გადავა. მან, მოსწავლეთა ენის შესწავლის უნარისა და ინტერესების გარდა, მოსწავლეებში საორგანიზაციო ნიჭი უნდა აღმოაჩინოს და ასეთი მოსწავლეები მაქსიმალურად გამოიყენოს ღონისძიებათა ორგანიზებისას.

მიგვაჩნია, რომ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რამდენიმე საინტერესო, სახალისო აქტივობა, მნიშვნელოვნად გაზრდის შემსწავლელთა მოტივაციას უცხოური ენის სწავლების პროცესში. ეს აქტივობებია:

These materials can be used to organize thematic parties, clubs' sessions, competitions, etc.

Below find some tasks which can be used to apply these materials.

1. A vocabulary test, e.g.

Fill in the gaps from the box:

sleep, eat, big, gives, look, want

Big apples

Little Ann likes apples. She likes to _____ at them and she likes to _____ them. Her mother _____ her apples every day, But today they don't have apples at home. Ann wants to have an apple. She says: "Mummy, I _____ an apple, please. Her mother answers: "It's evening now, my girl. Apples _____ in the evening. And you must go and sleep". Ann says: "Oh, no, Mummy! Only little apples sleep, but _____ apple don't. Give me a big apple please."

2. A grammar test, e.g.

Choose the correct form of the verb:

He has not been introduced

There was a picnic in the wood. People -1- along the paths. A young man saw a spider on the back of the young lady walking in front of him. He came up to her and started: "Excuse me, Madam, may I..." She interrupted him: "How dare you speak to me. You -2-!" A few steps further she noticed a spider on her shoulder and began to shout to the young man, turning round to him: "Take it off, Oh, do take it off, please!" But the young man answered: "I am very sorry, Madam, but I have not been introduced to the spider."

- 1) a) was walking

- b) were walking
- c) walked
- 2) a) weren't introduced
- b) haven't been introduced
- c) haven't introduced
- 3. Thematic grouping of the jokes. Proverbs, etc. (To make up this task you choose texts from different sections of these materials).
- 4. Choosing the appropriate titles for the texts (texts and titles are given separately, mixed).
- 5. Writing a composition (an essay) on a proverb / saying.
- 6. Matching the sports (or something else) defined (humorously) and its definition.

Some humorous materials

Big apples

Little Ann likes apples. She likes to look at them and she likes to eat them. Her mother gives her apples every day. But today they don't have apples at home. Ann wants to have an apple. She says: "Mummy, I want an apple. Give me an apple, please." Her Mother answers: "It's evening now, my girl. Apples sleep in the evening. And you must go and sleep." Ann says: "Oh, no, Mummy! Only little apples sleep, but big apples don't. Give me a big apple please."

He has not been introduced

There was a picnic in the wood. People were walking along the paths. A young man saw a spider on the back of the young lady walking in front of him. He came up to her and started: "Excuse me, Madam, may I..." She interrupted him: "How dare you speak to me. You haven't been introduced!" "A few steps further she noticed a spider on her shoulder and began to shout to the young man, turning round to him: "Take it off, Oh, do take it off, please!" But the young man answered: "I am very sorry, Madam, but I have not been introduced to the spider."

A little girl asked her mother for ten cents

A little girl asked her mother for ten cents to give to an old lady in the park. Her mother was touched by the child's kindness. "There you are, my dear, but, tell me, isn't the lady able to work any more?" "Oh yes," came the reply. "She sells sweets!"

Children's talk

When your Mom is mad at your dad, don't let her brush your hair. You can't trust dogs to watch your food. Reading what people write on desks can teach you a lot. The best place to be when you are sad is in Grandma's lap.

New Year's Dinner

As in many homes on New Year's Day, my wife and I faced the annual conflict of which was more important - the football games on television, or the dinner itself. To keep peace, I ate dinner with the rest of the family, and even lingered for some pleasant after-dinner conversation before retiring to the family room to turn on the game. Several minutes later, my wife came downstairs and graciously even bought a cold drink for me. She smiled, kissed me on the cheek and asked what the score was. I told her it was the end of the third quarter and that the score was still nothing to nothing. "See?" she said, continuing to smile, "You didn't miss a thing."

Daytime Television

A newspaper reporter was writing a feature story about prison life and was interviewing one prisoner "Do you watch much television here?"

"Only the daytime shows," the inmate said. "At night we're locked in our cells and don't see any television.

"That's too bad," the reporter said, "But I do think it is nice that the warden lets you watch it in the daytime."

"What do you mean, nice?" the inmate said. "That's part of the punishment".

Physics

A college physics professor was explaining a particularly complicated concept to his class when a pre-medical student interrupted him.

"Why do we have to learn this stuff?" one young man blurted out.

"To save lives," the professor responded before continuing the lecture.

A few minutes later the student spoke up again. "So how does physics save lives?"

The professor stared at the student for a long time without saying a word. Finally the professor continued.

"Physics saves lives," he said, "because it keeps certain people out of medical school."

Clever Professor

The rules at a particular university were such that if the professor were not present in the classroom by 15 minutes past the hour, the class was considered a "walk" and the students were free to leave - with no penalties for missing a class.

The rooms were equipped with the type wall clocks that "jumped" ahead each minute, in a very noticeable fashion. As it were, these clocks were also not of the most sophisticated construction. Some enterprising student discovered that if one were to hit the clock with chalkboard erasers, it would cause the clock to "jump" ahead 1 minute.

It became almost daily practice for these students to take target practice at the clock (as it would have it, this particular professor was not the most punctual, and the students considered him severely "absent-minded").. A few well aimed erasers, and lo, 15 minutes were passed, and class dismissed itself.

Well, when the day for the next exam rolled around, the professor strolled into the room, passed out the exams, and told them "You have 1 hour to complete".

The professor then proceeded to collect the erasers from around the room, gleefully taking aim at the clock. When he had successfully "jumped the clock forward 1 hour, he closed the class and collected the exam papers.

Life does teach some lessons the hard way.

Money For College

A kid called up his mom from his college and asked her for some money, because he ran out it.

Mom said "Sure, sweetie. I'll send you some money. You also left your calculus book here when you visited 2 weeks ago. Do you want me to send that up too?"

Uh, oh yeah, OK," responded the kid.

So Mom wrapped the book along with the checks up in a package, kissed Dad goodbye, and went to mail the money and the book.

When she gets back, Dad asked, "Well how much did you give the boy this time?"

Mom said, "Oh, I wrote 2 checks, one for \$20, and the other for \$1000 "

That's \$1020!!!" yelled Dad, "Are you crazy???"

„Don't worry hon, Mom said as she kissed Dad on the on top of his bald head, "I taped the \$20 check to the cover of his book, but I put the \$1000 one somewhere between the pages in Chapter 19!"

A Dollar per Point

A professor was giving a big test one day to his students. He handed out all of the tests and went back to his desk wait.

Once the test was over the students all handed the tests back in. The professor noticed that one of the students had attached a \$100 bill to his test with a note saying "A dollar per point."

The next class the professor handed the graded tests back out. This student got back his test, his test grade, and \$64 change.

Four Languages

A Swiss guy visiting Sydney, Australia, pulls up at a bus stop where two locals are waiting. "Entschuldigung, koennen Sie Deutsch sprechen?" he asks.

The two Aussies just stare at him.

"Excusez-moi, parlez vous Francais?" he tries.

The two continue to stare.

"Parlare Italiano?"

No response.

"Hablan ustedes Espanol?"

Still nothing.

დასკვნა. ამრიგად, თანამედროვე უცხოენობრივი წრეების ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული მუშაობისათვის აუცილებელია არა მხოლოდ გაკვეთილზე მიღებული ცოდნიდ განმტკიცება, არამედ, მისი უფრო მაღალ დონეზე აყვანაც, მისი მსვლელობისას „სამუშაო ენა“ ძირითადად შესასწავლი ენა უნდა იყოს, რაც მისცემს მოსწავლეებს საშუალებას, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენების საშუალება შეიძინონ. უცხოენობრივი უნარ-ჩვევების განსავითარებლად კლასგარეშე (წრეების) მუშაობისას მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი და და საინტერესო სასაუბრო თემატიკის, მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების შერჩევა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და ენობრივი დონის გათვალისწინება. გაკვეთილისგან განსხვავებით, ენობრივი წრის წევრები სავარჯიშოებს კი არ უნდა ასრულებდნენ, არამედ შესასწავლ ენაზე რეალურ კომუნიკაციაში უნდა იყვნენ ინტენსიურად ჩართულნი. ამდენად, სიტუაციური დიალოგები, როლების გათამაშება, დებატები, კონკურსები, რომლებიც საგაკვეთილო მეცადინეობებისას შედარებით იშვიათად გამოიყენება, უცხოურ ენაში კლასგარეშე მუშაობის (წრეების) ძირითად შემოქმედებით ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ.

პედაგოგს, როგორც მუშაობის წამმართველს ამ პროცესის ორგანიზება დიდ მოთხოვნებს უყენებს, მას გარდა ვიწრო სპეციალიზაციის მაღალი დონის უნარ-ჩვევების ფლობისა, უნდა გააჩნდეს მდიდარი ზოგადი ერუდიცია, იყოს კარგი ორგანიზატორი, რაც შეამდებინებს მას დემოკრატიული, სასიამოვნო, მოტივაციის ასამაღლებელი სასწავლო გარემოს შექმნასა და წარმართვას.

გამოყენებული ლიტერატურა

- გიორგობიანი, ლ., კახიშვილი, ლ., მაცხოვრებელი, გ., & ქვლივიძე, რ. (1988). *უცხოური ენის სწავლების თეორია და მეთოდოლოგია*. ენა და კულტურა?. თბილისი. 140-150.
- დოლონაძე, ნ. (1984). მოსწავლის ზნეობრივი აღზრდის ეფექტურობის პირობები. *ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*. თბილისი. 3-25.
- მარკაშვილი, მ. (1988). ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები აღზრდის სისტემაში. *საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენციის მომხსენებელთა მოხსენებების კრებული*. თბილისი. 6-8.
- მეგრელიძე, ც. (1993). *რელიგიურ-ეთიკური აღზრდა*. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.
- Магомедов, Г. М. (2000). *Социально-педагогические условия подготовки учителей по организации коллективно-творческой деятельности в школе*.
- DeFelice, W. (1996). Using story Jokes for Real communication. *English Teaching Forum*. Vol. 34, #2, p. 43-44.

REFERENCES

- giorgobiani, l., k'akhishvili, l., matskhonashvili, g., & kvlividze, r. (1988). *utskhouris enis sts'avlebis teoria da metodik'a [The Theory and Methodics of Teaching Foreign Language]*. ena da k'ult'ura? [Language and Culture]. Tbilisi. 140-150.
- doghonadze, n. (1984). mosts'avlis zneobrivi aghzrdis epekt'urobis p'irobebi [Conditions for the Effectiveness of Moral Education of a Student]. *i. gogebashvilis sakh. p'edagogik'is sametsniro-k'vleviti inst'it'ut'is shromebi [Proceedings of the I. Gogebashvili Scientific-Research Institute of Pedagogics]*. Tbilisi. 3-25.
- mark'ashvili, m. (1988). obiekt'uri da subiekt'uri pakt'orebi aghzrdis sist'emashi [Objective and Subjective Factors in the Education System]. *sazogadoebriv metsnierebata dargshi momushave akhlagzrda metsnierta resp'ublik'uri k'onperentsiis momkhsenebelta mokhsenebebis k'rebuli [Collection of Reports of the Speakers of the Republican Conference of Young Scientists Working in the Field of Social Sciences]*. Tbilisi. 6-8.
- megrelidze, ts. (1993). *religiur-etik'uri aghzrda [Religious-ethical Education]*. Abstract of the PhD Dissertation. Tbilisi.
- Magomedov, G. M. (2000). *Social'no-pedagogicheskie uslovija podgotovki uchitelej po organizacii kollektivno-tvorcheskoj dejatel'nosti v shkole [Social and Pedagogical Conditions for Training Teachers in Organizing Collective Creative Activities at School]*.
- DeFelice, W. (1996). Using story Jokes for Real communication. *English Teaching Forum*. Vol. 34, #2, p. 43-44.